

ზინაური საქმეები

უფროსი კვირული გაზეთი.

№ 21.

კვირა, ოქტომბერი 12, 1908 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეკით.

აღმსნი: ქუთაისი „ზინაური საქმეები“

რედაქცია.

ზინაურის: ჩვენი უთაურობა—ბოსლეველისა; მოწამეთა (ლექსი)—ნ. კიკნაველიძისა; სიბრძნისაგან ისუ ძისა ზირაქისა. ო. 27 (ლექსი)—დეკ. ნ. ყ—შვილისა; ტიმოლონ პერიკლის ძის ტრიანტაფილიდისის სსოენას; სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში—სეფეველელისა; მოვალეობის შესრულება—სანმანიანისა; რადროში ვართ—ტონკელისა; ქრისტიანული აღზრდა ნებისა (თარგმანი)—ე. ჩ—ძე-სა; წერილი რედაქციის მიმართ—მლ. ი. მარგიანისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნალის წლიური ფასი.

უფროსი კვირული გაზეთი

„ზინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ჩვენი უთაურობა.

სულძნათის მამა გაბრიელის სენაგონებით 1883 და 1884 წლებში ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღსაშენებლად შეიკრება იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებისაგან 32,119 მ. და 71 კ., სოლოგაურის სამეგრელოისაგან 19,253 მ. და 87 კ. ამ ფულებს დაემატა მამა გაბრიელის შეწირულება 1000 მანეთი (მთაქციეთ უურხადება, როგორ ნივთიერებად კი სთავადად უდგას ყოველ კეთილ საქ-

მეს! ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ მან თავის სახელობაზე დაარსებულ ქალთა სასწავლებელს იმ თავითვე შესწირა 5000 მანეთი! აი დაუვიწყარი და ბუდამ თვალწინ დასაყენებელი მაგალითი აღამიანის სასოგადო მოღვაწეობისა! „ვისაცა ასწენ უური სმენად ისმინონ“!....) ამასვე დაემატა კიდევ ის 27 ათასი მანეთი, რომელიც მისივე თხოვნით და ჩაგონებით შეიკრება ამავე საგნისათვის იმერეთის სამღვდლო ჰირთაგან 1873 წლიდგან დაწყებული, ვიდრე 1883-დრე, რომლისგანაც ყოფილ სემინარიამდის მოაღწია 14 ათასმა მანათმა და ჩვენამდის კი იმ უბადრუკმა რვა ათასმა მანეთმა, რომლისგანაც სამღვდლოება სესხად თხოულობდა სტამბის შესაძენად ოთხი ათას მანეთს და რომელიც მას რაღაც გაუგებარი მიზეზისა გამო არ დაანებეს (სამღვდლოება თავის ფულს სესხად



ვობს! უბედურება ამახუცებული იქნება კიდევ?!)....

ამ წიგნიდან 1884 წლის დამლევადის შესდგა საკმაოდ საკრძნობელი თანხა — 78,373 მ. 58 კ. (ის. კანც. საქმე № 7, 1885). ამ ფულის უკანასკნელი დანიშნულება სემინარიის აშენება იყო, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან ძრთებლობამ ქუთაისში სემინარიის განსახლება უარი განაცხადა. (სინტერესთა ამ საქმეზე მიწერ-მოწერა და დაუღალავი თავდადებადობა ძმა გორიელისა, რომელსაც თავის დროზე გავაცნობთ მკითხველებს, არა იმისთვის, რომ ჩვენ დანაკლს აღადგენს ეს გაცნობა, არამედ გვასწავლის სასოკადო საქმისათვის თავდადებას თუ არა თავგამოდებას ძინც. ნურაუინ იწეენს, რომ ჩვენი ბეჩავი ქვეყანა და განსაკუთრებით იმერეთის სამღვდელოება დატაკად აღვიაროთ მოღვაწეების მხრით.)

რა მოუვიდა ამ თანხას? რადგანაც სემინარიის დაარსებაზე უარი უთხრეს, სამღვდელოების კრებამ გადასწევითა უკანვე დაბრუნებოდა ფული სამღვდელოების. მაგრამ სანამ ამას გადასწევითდენ სულმნათა სცადა კეთილი მიზნისათვის შეგროვილი თანხა, სხვა კეთილ მიზანს დასდებოდა საფუძვლად, სცადა ემერიტალურ კანსის დაარსება. სამღვდელოებამ ეს აზრი მოიწონა და დააფლდა საეპარქიო კანცელარიის სეკრეტარს ბ. ე. თუთბერიძეს შეედგინა ჯეროვანი წყაღება, რაცა მან სავსებით შეასრულა და წესდება შემდეგ კრებას წარუდგინა. ამ კრებას

მეც შემთხვევით დაუესწარი, არა როგორც მკვლელი, არამედ როგორც სემინარიის მოსწავლე დაინტერესებული სამღვდელოების ბედიბანაში. რა მოხდა ამ კრებაზე შესახებ ემერიტურისა, დაწერილებით აღარ მახსოვს, ხოლო ის კი ნათლად მიდგია თვალწინ, რომ ამ კეთილ განძრახვას წინააღუდგა ძმა დეკ. დ. დამბაშიძე და კიდევ მღვდელმთავრად გავიჯანა ლელო. არც ის მახსოვს რა საფუძვლით უარჯყო მან ემერიტალურ კანსის სარკებლობა, მაგრამ ვფიქრობთ, მამინდელ სამღვდელოებისთვის ისიც საკმარისი იქნებოდა, თუ დეკ. დამბაშიძის პირიდან გაიგონებდენ ცნობილ ქართულ ანდახას: „ხვალმდეღეღდალს დღეკანდელი კვერცხი მირჩევენიაო“. ან კიდევ ფულს შეგვიჭამენო, სინდისიერი კაცი არ გვეყვას, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს და სამღვდელოება არ გამარცხო-სო. ამ უკანასკნელ საფუძვლებით იმავე დეკანოზმა უარი ათქმევინა სამღვდელოების კრებას საურთიერთო დამძღრებელ სასოკადობის დაარსებაზე, რომლის წესდება წარუდგინა კრებას მღვ. ს. მჭედლიძემ ამ რამოდენიმე წლის წინეთ. ამწი-რად წახდა ჭინახული, ფუჭად ჩაიარა დიდებულ მღვდელმთავრის დიდებულმა აზრმა, მან ვერ ვპოვა შესაფერი ნიად-გი სამღვდელოებაში და ამიტომ ვერც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ასე წარმოიდგინეთ ვერც ძმა დეკანოზ დამბაშიძის ორგანოში ვპოვა ამ აზრმა შესაფერი ნიადავი (აღბათ სამღვდელოების გუ-

ლის ზანსუხის გამოძევეელი იყო!). არ ვიცი, ვინ რა უნებაზე გამოვიდა კრებიდვან, რომელმაც ფესქვემ გათელა მარგალიტი, თავშივე მოახრხო კეთილი საქმე, მე კი სრული გულდათუთქული გამოველი და დღესაც ვერ ვამიგია, რასთვის უთხრეს უარი ამ საშვილიშვილო საქმეს?

დარიგდა ფული, გარდა იმ 27 ათასი მანეთისა, რომელიც სასულიერო სასწავლებელში იყო დაცული. თითოეულ კრებულს საშვალა რიცხვით ექვს თუმანზე მეტი არ შესვენდნია. ეს ფულები ისევ ქუთაისში შეიქადა, სრულიად უმნიშვნელოდ, უსარგებლოდ..

ამის შემდეგ სამღვდლოებას კიდევ ქონდა შემთხვევა რამე საშვილიშვილო საქმე გაეკეთებია, მაგ. როცა ზანსონისთვის ნაგროვები ფული დარიგა, მაგრამ თითო ოროლა ვაულებიანი მაშალა არ იქნა, არ გამოიღია სამღვდლოებაში!

27 ათასმა მანეთმაც უმნიშვნელოდ ჩაიარა: ჯერ იმ თავითვე გაიზარა სადღაც 13 ათასი მანეთი. დანარჩენმა 14 ათასმა მანეთმა მოადწია უოფილო ქუთაისის სემინარიამდის, რომლისაგან 7 ათას მანეთამდის სასლის ქირასა და მოსამსახურეების ჯამბურიად დაიხარჯა; დარჩა რაღაც უბადრუკი 8 ათასი მანეთი და ესეც უმნიშვნელოდ ისარჯება. არ იქნა, არ დაეწერა იღბალი ამ ბედურულ სემინარიის თანხას, არ მოხდა, რომ რამე საფუძვლიანი საშვილიშვილო ძეგლი აშენებულიყო იმ ნეტარ დროის სასლოვრად, როცა ეს ფული

იკრიბებოდა. ამ უკანასკნელ დროს სტამბის შემენა განიძრეს სამღვდლოებაში ამ ფულით და ამასაც რაღაც ბოროტი.... ეოლიფერი არ ითქმის: „ზოგჯან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯან თქმითაც დაშავდებისო“ — ამბობს ჩუნი დიდებული მკოსანი. ეოლიფერში კი დანაშაულია ჩვენი უთაურობა, უგულობა სასოგადო საქმისადმი. ვეულებ რაღაც საკუთარ ქერქში შემდურაღა და არც კი უნდა კარში გამოიხედოს, ქვეყანა დაინახოს. ვეულებ რაღაც კრმო ინტერესებში განხუვულა და კერძო ეგოისტურ თვალთა ხედვის ზატრონს ვერ გაუთვალისწინებია, რომ რამდენად სასოგადოება ბედნიერია, იმდენად ბედნიერია ამ სასოგადოების ეოველი ერთეულიც. სადნამდის დაუწრებით ამ მდგომარეობაში?... უთაურობა, უთაურობა!...

ზოსლვეელი.

მ ო წ ა მ ე თ ა

მთა მალალი, ბუმბერაზი,
ჩამოქნილი სალი კლდიდან,
კალთას თავზედ მაფარებდა,
დაკიდებულს თითქოს ციდან.
მის ძირიდან წყარო სჩქეფდა
ცივი, წმინდა, როგორც სარკე—
შეხაროდა არე-მარეს
მოტიკტიკე, მორაკრაკე.
ხითხითით და ჩხრიალითა
წყალ წითელა ქვე მიჰქროდა
ცელქად ჰხტოდა ქვიდან ქვაზედ,
წამ და უწუმ შეეფს მესროლი....
შეესტქეროლი დიად ტაძარს
გაღმით კონცხედ წამოხდარსა,
ივერიელთ წმინდა რწმენის
ნავთსაყუდელს და საფარსა.

ფიქრი მწარე და ხან ტკბილი
ერთმანეთში მერეოდა;—
იღუმალი გრძობა რამ გულს
იმონებდა, ერეოდა!...

შევსცქეროდი წმიდა ტაძარს
მყუდრო ბინას მოწამეთა,
მუნჯსა მოწმეს ჩვენი ერის
დალხენის და შავთა დღეთა;

— წმიდა ტაძარს, შეურყეველს
დროთა ბრუნვა-ტრიალითა,
რომლის თავზე საუკუნეთ
გადუვლია გრიალითა...

— წმიდა ტაძარს—ტანჯულ ერის.
სიამაყეს, ქებათ—ქებას...

— წმიდა ტაძარს მადლით საესეს.
ჩვენს სახელს და ჩვენს ღიღებებს...

ის ბინა თავდადებულთ
სამშობლო და ერისათვის,
მურვან—ყრუსგან წამებულთა
ქრისტეს მცნება-რწმენისათვის!...

ის!.. გვასწავლის ჩვენ ცხოვრებას
„იმ ქვეყნისთვის“ საამსოფლოს:
„— თავი მსხვერპლად მიეუტანოთ
წმიდა რწმენას, ერს, სამშობლოს!“

ღღესრას ვხედავთ, რასა ვსწავლობთ:
„არც სამშობლო, აღარც ერი,
აღარც რწმენა... ერთად-ერთი
„კუჭი“ და... სხვა არაფერი.

შევსცქეროდი წმიდა ტაძარს
მედიდურათ გადმოძღვარსა—
მისთვის ბინა შესაფერი
აერჩია ზენაარსა:

ძირს სალი კლდე უმაგრებდა
თვით კლდესავით შეურყეველს,—
ცა ლაფვარდი ნათელს ჰფენდა
თვით წმინდას და ნათელ მფრქვეველს.

უცებ, დაჰკრეს ზევით ზარსა
— მას ხმა მისცა მთა და ბარმა...
და ამ დროს მეც მომაგონდა
პეტრეს რომ რქვა მაცხოვარმა:

„... კლდესა ზედა აღვაშენებ
ეკლესიას საყვარელსო,—

ჯოჯობეთის შაკი ბქენი
ვერ აენებენ მას ნათელსო.“

ნ. კიკნაველიძე.

მოწამეთა 1908 წ. 23 ივნისი.

სიბრძნისაგან ისუ ძინსა ზირაძისა. თ. 27.

(უძღვნი ერთ ნაცნობთავანს).

ვინც სროლილობს მადლა ქვასა,
დაეცემის მასვე თავსა
და ბოროტად დაკემული
წყლულს გაუჩენს მეტად ავსა.

ვინც მოძმეს უთბრის ორმოსა
და სურს შიგ ჩააგოროსა,
თვითონ იგი ჩავარდება
იმ ადგილს საფარსაგოსა.

ვინც რომ სხვას უგებს მახესა
და სურს ჩააგდოს საფრხესა,
ის მახე მასვე დაიჭერს
და გაუშავებს სახესა.

ვინც სჩადის ბოროტებასა
და ელის მისგან შევებასა,
მას ბოროტი არ მოშორდეს
და არც ელირსოს შევლასა.

დვკ. ნ. ყ—შვილი.

25 ნოემბერს 1905 წ. ქუთაისი.

**ბიოლოგონ პარიკლის ძინ ბრინაბაზილ-
ლიდისის ხსოვნას.**

(პირადი მოვლნება.)

Не говорите мнѣ, онъ умеръ,—онъ живеть!
Пусть мертвенникъ разбитъ, огонь еще
пылаеть!
Пусть роза сорвана, она еще цвѣтеть!
Пусть арфа сломана, аккордъ еще рыдаеть!
Надсонъ.

ამ სათაურით გაზ. „Ватум. Голосъ“-ში
დაბეჭდილია ქ. ნინა ვასილჩენკოს წერილი,

რომელიც მშვენივრად ახასიათებს მხეცურად მოკლულ ექიმს ტრიანტაფილიდისს, როგორც ადამიან ექიმს. აი ეს წერილი:

„რის გულისთვის? რისთვის დაიღუპე? ეს კითხვა ცეცხლივით ედება ჩემს ტვინს, როცა ვფიქრობ, რომ აღარ არის ექიმი ადამიანი.

ნათლად და ცოცხლად მიდგია თვალწინ წარსულის სურათი, თუმცა გადასული ტანჯვის მოგონება გულს მითუთქავს.

ღამეა! საღამური ბინდათ ანათებს! ხმელი დაუსრულებელი მაწამებელი ხველა გულს ჰგლეჯს ჩემ ავთამყოფ ქმარს, რომელიც ეს ეს არი ბათუმში მოვიყვანე მიმადლებულ სამხრეთის იმედით. მე ვზივარ ლოგინთან და მეშინია, მეშინია საოცრად, რომ აი ახლავე წამოსქდება ბოროტის მომასწავებელი ნერწყვი წითელი, ქათმორეული სისხლისა. ავთამყოფს წინ უდგია წყლიანი ტაშტი, მე კი ვზივარ, არაფერზე გული არა მაქვს, არც სიცოცხლეზე, არც მომავალ ბავშვზე, რომლის დედა უნდა გავხდე რამოდენიმე თვის შემდეგ, და მხოლოდ ვაკვირდები — სისხლი? — არა!

ავთამყოფა დაახველა ღრმად, ყრუთ; მე ზეზე წამოვვარდი, თითქოს ვიგრძენ რაღაც საშიშარი და ერთბაშად წამოსქდა სისხლი, პირიდან, ცხვირიდან, რაც აღრე არ მომხდარა ხოლმე. მე მეგონა დაიხრჩობოდა .. დავიწყე ფუსფუსი, წამლების ძლევა, რომლებიც გამოწერილი ჰქონდა ჩემ ქმარს, სხვა ექიმებისაგან და ამასთანავე ექიმზედაც გავგზავნე.

ხუთი წუთის შემდეგ იგი მოვიდა. ეს იყო ტიმოლეონ პერიკლის ძე. შემოიქრა თუ არა ოთახში, ექიმი, ამოდენა სისხლის დანახვაზე, რომლითაც საესე იყო ტაშტი, მორწყული იატაკი და დათხუპნული თვით მე. განცვიფრებული გაჩერდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით...

უცრად მღელვარე ყვირილი შემომესმა: „მარილი ჩქარა, ყინული“! ავთამყოფს მივადებინეთ ერთი კოვზი მარილი, სისხლის დენა ცოტა შედგა. მე გავიქეცი, რომ სალდათი ყინულზე გამეგზავნა; ავთამყოფთან დედა და ექიმი დაეტოვე. მოვბრუნდი, ექიმი აღარ დამხვდა.

— დედა! სად არის ექიმი? უკუოდ მეო-

რე ოთახშია! ავთამყოფიც სწუხს. გავიდა ათი წამი; კბესთან ეტლი გაჩერდა და ოთახში ფრთხილად შემოვიდა ტიმოლეონი. ის თითონ წასულიყო აფთიაქში და საჭირო წამლები ეყიდა. ავთამყოფს სისხლის შემაყენებელი წამალი შეასხა, ხველამ უკლო და სისხლის კამარა შესდგა; ვითომ უკეთ შეიქნა; მაგრამ პირის სახე მკრთალი, გამსქვირვალე, თვრი, ცვილისებური გადაექცა. ექიმი ზის ავთამყოფთან, ხელს თავზე უსვამს, გულზე ყინულს უსწორებს, ცალი ხელით მაჯას უსინჯავს. მე მოწინებით შევეყურებდი ექიმს, მაგრამ მისი ყოველთვის ცოცხალი სახე ეხლა არაფერს მეუბნებოდა და მე არ შემეძლო გამომერკვია: — სიკვდილი თუ სიცოცხლე? სასტუმროში გამოვედი, ვხედავ დედა მუხლმოყრილი ლოცულობს, მეც მასთან დავიჩოქე და მასთან ერთად ვიმეორებდი ლოცვას, მაგრამ უგულოთ, უაზროთ, როგორც ავტომატი... ღონე არა მაქვს ვილოცო... არ შემიძლია... ყოველი ჩემი აზრი ქმრის ლოგინთან ტრიალებს. გავიდა ერთი საათი, ორი. ინათლა. ექიმი გამოვიდა და გვითხრა: „ავთამყოფს აღარაფერი საშიშროება არ მოეღისო“. ღმერთო! რა დაგმართვიათ თქვენ, მითხრა მე? მართლა რომ შესაშინებელი სანახავი ვიყავი: მძლად სისხლში გათხუპნული, მკრთალი, თვალბეჭში სიცოცხლე აღარ შეტყობოდა...

— სიცოცხლე, სიცოცხლე მომძაგდა! — წამოვიძახე მე.

— ღმერთი?

მე ვსდუმდი.

— დედობა? ახალი სიცოცხლე, რომელსაც თქვენ ატარებთ?

დიდხანს და აღერსიანათ მესაუბრა ექიმი თვალბეჭე სანატრელი, სალხინებელი კრემლი მომადგა და მე პირველად ვიგრძენი ჩემი პაწიას ახლად დაწყებული სიცოცხლე; ცოტა მესადავთა. მზის სხივებმა ბრჭყვიალი იწყეს. ერთმა მეორემ და აი გამობრწყინდენ მწყობრი, ჰარმორიული, და გაანათეს მთელი ქვეყანა, მეც გამობრწყინდა გული. დედოფალი სულითა, — სარწმუნოება თავის განუყრელ თანამგზავრებით სიყვარულით და სასოებით დაეშენენ

ჩემს თავზე! ერთ ღამეს ექიმმა დაუბრუნა სი-
ცოცხლე ორ ადამიანს...



**სარწმუნოება და მისი უარის მყოფელი
ჩვენი*)**

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ დარვინის
რწმენით მთელი ორგანული ბუნება, ე. ი.
მცენარეები, ცხოველები, ქვემძრომნი, ფრინ-
ველები და ადამიანი დაიბადნენ, გაჩნდნენ,
წარმოსდგნენ და მომრავლდნენ ერთი საზოგადო
ძირისაგან, პირვანდელი საერთო დაბალი
ორგანული ფორმისაგან განვითარების ანუ ევო-
ლუციის ხანგრძლივი პროცესის საშუალებით
იქვე გქვონდა ნათქვამი, რომ გარდა ამ სა-
ყოველთაო პირვანდელ ორგანულ ფორმისა,
დარვინის შეხედულობით, კაცს მეორე, უფრო
მახლობელი, უფრო მიმსგავსებული და ცხადი
წინაპარიც მოეპოვება, ასეთია, მაიჟუნის მსგავ-
სი ცხოველია

ამ ორ დებულებას, ამ ორ დედა აზრს
უნდა გაუწიოთ უმთავრესად ანგარიში და გა-
ვიჯილისწინით მათი მეცნიერული სიმტკიცე.

დავიწყოთ პირველი დებულებიდან.
დასკვნა, რომ ორგანული ბუნება წარმოსდგა
და განვითარდა პირველი საერთო დაბალი ორ-
განული ფორმისაგან, თავისთავათ იწვევს ყო-
ველ ადამიანის საღსა და ნორმალურ გონებაში
საგულისხმო საკითხს: თვით ეს პირვანდელი
ფორმა, ეს დასაბამი ორგანული ბუნებისა, ეს
დედა და დერიტა ან ნიადაგი მცენარეებისა,
ცხოველებისა და ადამიანისა საიდან, რაფრათ
და რომელი მანქანებით გაჩნდა ქვეყანაზე?
დასმული საკითხი არაფერ სიძნელეს არ წარ-
მოადგენს მისთვის, ვისაც შესაძლოთ მიაჩნია
და სჯერა ორგანულ არსებათა თვითჩასახვა. ერთ
დროს ასეთ მოძღვრებას დიდი გასავალი ჰქონდა;
ბევრს მტკიცედ სჯეროდა, რომ ორგანული
არსება თავის თავად ჩაისახება და, თუ პირობებ-
მა ხელი შეუწყვეს, დროთა განმავლობაში
განვითარდება, გაირკვევა, გართულება და ბო-

ლოს ჩამოყალიბდება სახეებადო.

მაგრამ მეცნიერებამ კარგა ხანია ანდერძი
აუგო და სამუდამოდ მიწას ამოაფარა ამ გვა-
რი რწმენა. ტინდალმა და ცნობილმა პასტერ-
მა მრავალზე მრავალი მაგალითებით, გამოცდე-
ბით და გამოკვლევებით დაამტკიცეს, ქვეყანას
დაანახეს, რომ ცოცხალი არსების გაჩენისათ-
ვის უეჭველად საჭიროა მეორე ცოცხალივე
არსება, რომ მარტო ორგანულ ნივთიარებას,
მარტო ორგანულ მატერიას თავის თავად, მხო-
ლოდ თვითონ არას ოდეს არავითარი ორგა-
ნული არსება არ გაუჩენია და ვერც რო-
დისმე შესძლებს ამას, სულაც რომ მარჯვე და
შერჩეულ პირობებში დარჩეს ჩაყენებული.
ასეთი აზრი ტინდალისა და პასტერისა დღესაც
ქეშმარიტებადაა აღიარებული მეცნიერებაში,
მაშასადამე დარვინის ჰიპოტეზა ქვეყნიერობის
განვითარების შესახებ პირვანდელი საერთო
დაბალი ორგანული ფორმისაგან ან ცარიელი ოც-
ნებაა, ყველაფერ ერთბას მოკლებული მეცნი-
ერებასთან, ანდა პირვანდელი ორგანული ფორ-
მა უნდა ვცნათ მატერიის გარეშე მყოფი უზე-
ნესი ძალის შემოქმედების აქტად. სხვა გზა,
სხვაფრად ხლართის გამოხსნა შეუძლებელია.

ჩვენ, რასაკვირველია, ვარჩევთ უკანასკნელ
აზრს, მით უფრო მომეტებულათ, რომ, ვგო-
ნებთ არც დარვინი იყო სხვა გვარი შეხედუ-
ლობისა ამ საგანზე. ვგონებ მეთქი, მოგაასე-
ნებთ იმიტომ, რომ ასეთს აზრს შევხვდით ბიო-
ლოგი ერბ ვასმანის ერთ-ერთს ლექციაში კა-
ცის გაჩენის შესახებ. ეს ლექცია ვასმანს შარ-
შან წაუკითხავს ბერლინში. ლექციას დასწრე-
ბია აუარებელი ხალხი, მათ შორის მეცნიერე-
ბის მაღალი წამომადგენელებიც. აი ჩვენთვის
საყურადღებო სიტყვები ვასმანისა. „დარვინის
უმთავრესი შრომის — გვართა წარმოდგომის (о
происхождении видовъ) გერმანული მეშვიდე
გამოცემა თავდება ამ სიტყვებით: სწორეთ რომ
დიდებულია ის შეხედულობა, რომელიც გვა-
წმუნებს, რომ ჩვენს გარშემო გაჩაღებული სი-
ცოცხლის განსახლება (зародышь) თავდაპი-
რველად შემოქმედმა შთაბერა რამდენსამე, შე-
საძლოა, ერთს ფორმას და იმ დროს განმავ-
ლობაში ჩვენი პლანეტა რომ სიმძიმის გაღვევალ

*) იხ. „ზინ. საქმეები“ № 15.

კანონების გავლენის გამო ტრიალებდა საკუთარ ორბიტის გარშემო, ესოდენ მარტივ სათაურიდან განვითარდნენ და დღესაც ვითარდებიან უმაღლესი მშვენიერებისა და დიდად საოცარი ფორმების უთვალავი დარგები.“

თუ ასეთი მსჯელობა ნამდვილათ დარვინს ეკუთვნის, მაშინ შენ თითონ ბძანე, ძვირფასო მკითხველო, რაღა მანძილია რჩება დარვინისა და წინასარმეტყველი მოსეს მსოფელ-მხედველობათა შორის!

გადავდივართ მეორე დებულებაზე.

მაიმუნისა და კაცის ერთგვარობას და ნათესაობას დარვინი ამყარებს ზოოლოგიიდან აღებულ სხვა და სხვა ფაქტებზე. დარვინი უდარებს ერთი მეორეს კაცისა და მაიმუნის ჩონჩხებს, მათი ორგანოების მოყვანილობას, ნერვების სისტემის აგებულობას, ამჩნევს ყველგან დიდ მსგავსებას, ნიშნავს მათ შორის სიახლოვეს და ბოლოს დაასკვნის, რომ ზოოლოგიური აგებულებით კაცი იგივე მაიმუნია; ერთად ერთი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ კაცის სხეული უმაღლეს წერტილამდე განვითარებულია.

უნდა შევნიშნათ, რომ საზოგადოდ დარვინის მსჯელობა კაცის და მაიმუნის აგებულების მსგავსების შესახებ არ არის სიმართლეს მოკლებული. მართლა დიდი მსგავსება აქვთ ადამიანსა და მაიმუნს სხეულის მოყვანილობაში. მაგრამ თუ საგანს ფართოდ შევხედავთ და გულდადებით დაუკვირდებით, სრული სიცხადით დივინახავთ. რომ არც მთლად ერთგვარია კაცისა და მაიმუნის სხეულის აგებულობა და მათი ერთი მეორისგან გაურჩევლობა შეუძლებელ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს კაცს. ვისაც სურვილი აქვს შესაძლო დაწვრილებით გაითვალისწინოს ზოოლოგიური გარჩევა კაცისა და მაიმუნის აგებულობათა შორის, შეუძლია მიმართოს რუსულ ენაზე გადმოთარგმნილ რანკეს მშვენიერ თხზულებას „კაცი“ ჩვენ კი, წერილი რომ არ გავგიჟებულდეს, სანიმუშოდ მოვიყვანო მარტო ორ ფაქტს—მაიმუნისა და კაცის თემოს ძვლებს და თავის ქალას. აღნიშნული თემოების ძვლების ქსოვილი, მათი ძაფების გაწყობა და მიმართუ-

ლება იმდენად განსხვავებულია ერთი მეორისგან, რომ მარტო მთლად უეცრი თუ ვერ შენიშნავს მას; დაკვირვებული ადამიანი კი ერთი გადახედვითვე დარწმუნდება; რომ ეს ძვლები ეკუთვნიან ორს სხვა და სხვა გვარის არსებას, რომელთაგან ერთი დადის სწორეთ, ზეამართულათ, მეორე კი დადრეკილია მიწის პირად. ადამიანის თავის ქალა, რომელშიაც, როგორც ყუთში, ჩადებულია თავის ტვინი, სიდიდით და სიფართოით, თავის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, ყველაზე უდიდესია, მაშინ, როდესაც მაიმუნის თავის ქალა მაიმუნის თვალების ფოსოებთან შედარებითაც კი გაცილებით პატარა და უმნიშვნელოა. როგორც ვხედავთ, აქ კაცსა და მაიმუნს შორის ხილია ჩატეხილი და მათი ზოოლოგიური სხვა და სხვაობის გადაფურჩევა მარტო წინაგანზრახული მოსაზრებით შეპყრობილი ადამიანისთვისაა შესაძლო. დარვინი და მისი მიმდევარი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან იმ გარემოებას, რომ განვითარების დასაწყისში ადამიანის განსახულება (зародышь) გაურჩევლოა ცხოველების განსახულებისაგან; თუ წინ და წინ არ იცით, ვერ მიხვდებით ვის ეკუთვნის წინამდებარე განსახულება—ადამიანსა, ძუძუებიან ცხოველსა, ფრინველსა, თევზსა თუ ბაყაყსა, ან რომელიმე ქვემძრომსა. ადამიანის განსახულების განვითარების მსვლელობას რომ თვალ ყური ვადევნოთ მის პირველ ხანებში, ამბობენ დარვინისტები, დავინახავთ, რომ განსახულება ჯერ მატლის ფორმას ღებულობს, მერე თევზისას, მერე ფრინველისას, შემდეგ მაიმუნისას და ბოლოს ხდება ადამიანად; კაცის განსახულების განვითარება დედის მუცელშია, განაგრძობენ იგინივე არის შემოკლებული, მაგრამ უმეტესად გამოვრება იმ რთული განვითარებისა, რომელიც კაცობრიობას განუცდია მრავალ მილიონთა საუკუნოების განმავლობაში, დედის მუცელში მიღებული თანდათანობითი ცვლილებანი კაცის განსახულებისა, ნამდვილი კიბეა კაცის წარსრული განვითარებისა და რაკი ამ კიბის საფეხურებად ვხედავთ ჯერ მატლს, მერე თევზს, მერე ფრინველს და მერე ოთხფეხს, ეს იმისი თავდებია, რომ კაცი პირ-

ველად მატლი ყოფილა, მერე თვზად ქცეულა, მერე ფრინველად, მერე მაიმუნად და ბოლოს ამალღებულა დღევანდელ მდგომარეობამდინო. სხვათა შორის დაოვინიტები დაჩემებით არწმუნებენ მკითხველებს, რომ კაცის განსახულების ერთ საფეხურზე ცხადად შეიძლება გაეარჩიოთ თევზის ლაყუჩების ხვეულები და ნახვრეტები.

მთელი ეს მსჯელობა წმინდა წყლის ოცნება და ზღაპარია. გარდა დარვინისტებისა დღევანდლამდე ჯერ არც ერთს მეცნიერს არ აღმოუჩენია ამის მსგავსი რამ კაცის განსახულებაში. პირ იქით მეცნიერთა გამოკვლევანი ექვს გარეშე ჰყოფენ მხოლოდ იმას, რომ ადამიანის განსახულებაში დარვინისტებისაგან თევზის ლაყუჩების ხვეულებად და ნახვრეტებად მიჩნეული ორგანოები არიან კაცის ყელისა და ყურების მილები და არა სხვა რამე. აქ დარვინისტებს თუ სინამდვილე ვერ დაუნახავთ, ეს იმის ბრალია, რომ მათ აქვთ საქმე ჯერ გაურკვეველ და სახემიულებელ ორგანოებთან და მერეც მათ აბრმავეს ერთხელ და სამუდამოთ აჩემებული და ნიშანში ამოღებული ცალმხრივი მიზანი: მათ სურთ, მიუხედავად ყოველი გარემოებისა, ადამიანი გამოიყვანონ უაქველად მაიმუნის ნათესავად. ეს აზრი ლურსმანივით ჩარკობიათ მათ ტვინში და, არსენასი არ იყოს, ყოლიფერს თავიანთ ალაბით ზომავენ. „რიყეზე ისე გავივლი, ქვას არ დავინახავო“, სხარტულად ახასიათებს ახირებულობის თვისებას ჩვენებური ანდაზა, და რა ფრად გნებავთ ამ ახირებულობასთან საქმის დაქერა, მასთან მსჯელობა და საქმიანი ბაასი!

ესეც რომ არ იყოს, თანამედროე პირუთვნელი მეცნიერება აღიარებს, რომ ინდივიდის განვითარება სრულებითაც არ არის მისი გვარის განვითარების უბრალო გამეორება, მისი გვარისაგან ერთხელ განვლილ გზის ხელმეორედ განვლა; ინდივიდი იწყება იქიდან, რაზედაც შეჩერდა მისი წინაპარი, ინდივიდი ყოველთვის წინ მიდის, ამეტებს და ახალი ელემენტი შეაქვს გვარის განვითარებაში; ყოველ შენახვევაში იგი არ არის გამეორება გვარის განვითარებისა... ცხადია, მაშასადამე, რომ მთელი მსჯელობა დარვინისტებისა ადა-

მიანის განსახულების განვითარების შესახებ არაა დამყარებული მეცნიერების შეურყვეველ ფაქტებზე და ამის გამო მისი მეცნიერული ღირებულობაც უმნიშვნელოა. ვერც მგრედ წოდებული რუდიმენტები ეხმარებიან ბევრად დარვინს და დარვინისტებს. როგორც ვუწყით, რუდიმენტები წარმოადგენენ სხეულის ისეთ ნაწილებს, რომლებიც დანიშნულება, აზრით, საქმე ანუ ფუნქცია შეუგნებელი რჩება დღევანდლამდე ჩვენთვის. რუდიმენტებია, მაგალითად, ადამიანის ფრჩხილები, სხეულის ბალანი, მამაკაცის ძუძუები, ეგრედ წოდებული ბრმა ნაწილვის მატლის მსგავსი გაგრძელება ანუ ღვი და სხ. დარვინის შეხედულებით რუდიმენტებს არავითარი აზრი და მნიშვნელობა არა აქვთ კაცის სხეულში, ასეთ გარემოებაში ჩაუყენებია რუდიმენტები იმას, რომ კაცის სხეული განვითარებულა, რთული ფორმა მიუღია, უმაღლეს მდგომარეობაში გადასულა, ახალი ორგანოები შემატებია და სხ. რუდიმენტები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს მხოლოდ ცხოველებში და მათი არსებობა ადამიანის სხეულში იმისი ნიშანია, რომ როდესაც ეს უკანასკნელიც დღევანდელი პირუთვნების განვითარების საფეხურზე მდგარა. ბრმა ნაწილვის გაგრძელება ანუ ღვი უმნიშვნელოა დღეს კაცისთვის, მაგრამ დარვინის აზრით, ის უტყუარი მაჩვენებელია იმ დროისა, როდესაც ადამიანს დღევანდელზე მართლა გრძელი ნაწილვეები ჰქონდა, ე. ი. როდესაც კაცი იდგა ბალახით მოსაზრდოე ცხოველების საფეხურზე; შემდეგში კაცმა იკვალა საქმელი, დაიწყო ხორციით საზრდობა და ამას შედეგად მოჰყვა ნაწილვეების დამოკლება, დღეს ამ დამოკლების პროცესის მაჩვენებელ ნიშნად ჩარჩომია კაცს სხეულში ბრმა ნაწილვის ღვი, ბრძანებს დარვინი.

მაგრამ რაზე ამყარებს დარვინი ცოყვანილ მსჯელობას? იმაზე, რომ ვითომც რუდიმენტებს არა ჰქონდეთ მნიშვნელობა ადამიანის სხეულში, ვითომც რუდიმენტები გამოუსადეგარ და მომეტებულ ნაწილებს შეადგენენ კაცის განვითარებულ სხეულისთვის. და სწორედ მთავარი შეცოთმაც ამაშია. საქირთა გა-

ვიხსენოთ, რომ დიდი ხანი არ არის ამგვარ რუდიმენტებად და ყოველ გვარ მნიშვნელობას მოკლებულ ორგანოებად სთვლიდნენ ფარის მსგავს ჯირყვალს (желѣза), გულის ჯირყვალს (сердечная желѣза) და ტვინის ჯირყვალს (мозговая желѣза), მაგრამ შემდეგში მეცნიერებამ შეიგნო დანიშნულება და დღეს, რომელი ექიმიც გნებავთ, ავიხსნით და განგიმარტებთ ამ დასახელებულ ჯირყვლების დიად ბიოლოგიურ ფურცლებს ჩვენს სხეულში. აი საგულისხმო ფაქტი! მაშ რატომ არ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ რაც დღეს ბნელი და გაუგებარია ჩვენთვის, ხვალ ან ხვალ ზევით განათლდება, განცხადდება და გამოირკვევა? ვის შეუძლია იმასი თქმა, რომ რუდიმენტებს საზოგადოთ და ბრმა ნაწლევების ღივს კერძოთ მახლობელ მომავალში ძღვევა მოსილი მეცნიერება ფარჯას არ ახდის და არ დაგვანახვებს მათ ბიოლოგიურ მნიშვნელობას ჩვენი სხეულისთვის იმავე სიცხადით, როგორც დაგვარწმუნა ფარის მსგავსი, გულისა და ტვინის ჯირყვლების მნიშვნელობაში? ამის იმედს ვერაფერს გაგვიტებს. ამიტომ რუდიმენტებზე დამყარება კაცის და მაიმუნის ნათესაობისა უნიადაგო და სუსტი მოსაზრებაა.

ერთი შენიშვნა კიდევ. მაიმუნის სისხლი რომ კაცის ძარღვებში შევიყვანოთ, ან კაცის სისხლი რომ მაიმუნის სხეულში გადავიტანოთ, ამბობენ დარვინისტები, არც კაცი და არც მაიმუნი არავითარ უსიამოვნებას და ტკივილს არ იგრძნობენ და ავად არ გახდებიან, რადგანაც არეული სისხლები არ აიჭრებიან, მკირე და უღონო რეაქციას მოახდენენო. სამაგიეროდ კაცს რომ ფრინველის ან რომელიმე ნაღირის სისხლი ჩაუყენოთ ძარღვებში. დაუყონებლივ მოხდება მძლავრი რეაქცია, არეული სისხლი ერთი მეორეს ასკრის და ამის გამო კაცს აუფარდება ტკივილები, რომლებსაც, შეიძლება, სიკვდილიც, მოჰყვეს თან. დარვინისტებს რომ დაუჯეროთ, პირველი შემთხვევა უწინააღმდეგელია კაცისთვის იმის გამო, რომ კაცისა და მაიმუნის სისხლი ერთი და იგივე თვისების, ერთი და იგივე შემადგენლობისა არიან და ეს აშტაკებს მათი (კაცის და მაიმუნის) ბუ-

ნების იგივეობას, ერთი მეორის ნათესაობას, ერთი მეორისგან ჩამომავლობას; ხოლო მეორე შემთხვევა სახიფათოა კაცისათვის იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მის სხეულში შედის უცხო, მის სისხლთან შეუფერებელი, განსაკუთრებული თვისების სისხლი.

ვერც ამაში დავეთანხმებით დარვინისტებს, რადგანაც ამ შემთხვევაშიაც აჩქარებულია მათი მსჯელობა, ამ შემთხვევაშიაც მეცნიერება ლალატობს მათ დასკვნებს. ვსთქვათ რომ კაცისა და მაიმუნის სისხლი სწორეთ ერთი და იგივე შემადგენლობისაა, აქედან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ამ ორი სახის სისხლთა შორის არსებობს ფიზიკო-ქიმიური ნათესაობა და სხვა არაფერი. დარვინისტებს კი სისხლთა მსგავსებიდან გამოჰყავთ ნათესაობითი ანუ ჩამომავლობითი ერთობა და ამითი არღვევენ ლოლიკის ელემენტარულ მოთხოვნილებას. თუ დარვინისტები შართალს ამბობენ, მაშინ აქლემიც ადამიანის მკვიდრ ძმად უნდა ვიცნაოთ, ვინაიდან მიკროსკოპიული გამოკვლევით დამტკიცებულია კაცისა და აქლემის სისხლის შემადგენლობის მსგავსება. სისხლთა რეაქციის მიხედვით შეიძლება ვიხელმწიფან ელეთ და ვთქვათ, ერთი რომელიმე ცხოველი უფრო ახლოა მეორეზე, ვიდრე მესამე, მაგრამ რა ხარისხისა და მანძილისა ამ ცხოველთა შორის ნათესაობა ან ერთობა, ჩვენთვის მიინც გამოუქნობელი რჩება, სხვა ნაირად რომ ვთქვათ სისხლთა რეაქცია არავითარ მტკიცე გადაწყვეტილებისა და გარკვეულ დასკვნის უფლებას არ აძლევს შეგნებულ კაცს. აბა, მართლა ეცადეთ და გამოიყვანეთ გადაჭრილი დასკვნა შემდეგი საინტერესო ცდიდან, რომელიც მოუხდენია ბ. ბრუმს: ამ მეცნიერს ლეტარგის სენით (სალათას ძილით) შებყრობილ ადამიანის სისხლი შეუშვია ძუძუებთან ცხოველების ძარღვებში და ყველა ცხოველები ავად გამხდარან გარდა მაიმუნისა და ლორისა!

ამ გვარად, ჩვენი მიზანი იყო აგვენუსხა უტყუარი ფაქტები. ახლა მკითხველისთვის მივინდვია გადაწყვეტა—რომელი მეცნიერება და

რა გვარი ფაქტების საშუალებით ამტკიცებს კაცის და შაიმუნის ნათესაობას?

სეფეველი.



X

მოვალეობის ზისრულება.

როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელ ჩვენი გაზეთების მოვალეობაა ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ ლაშქრობა. ამ მოვალეობისთვის არ უღალატნია ჯერ თითქმის არც ერთ ქართულ გაზეთს, რომელმაც გამოვიდა 1905 წლის აქეთ. ან კი როგორ გაბედავდნენ ლალატს? ეს ხომ უვაცობის, გაუნათლებლობის ნიშანი იქნებოდა და აბა რა თქვენი საკადრისია უვიცი რედაქტორი (?) და მით უფრო თანამშრომელი ეხლანდელ დროში?!

ამ საზოგადო მიმართულებას ვერ უღალატებდა, რა თქმა უნდა, ახლად დაბადებული გაზ. „მზე“ და მან პირველ ნომერშივე გადაუხადა ვალი ახალ მიმართულებას ჩვენ მწერლობაში; გამოსთქვა თავის აზრი, არა უკაცრავად, თავისი კი არა, ოსკარ უაილდის აზრი ქრისტე მაცხოვარზე და მამა ღმერთზე. გამოსთქვა, რომ არც ერთის მოქმედება გონიერი და ჭკუას დაახლოვებული არ არის. მაცხოვარი სცდება როცა ჰკურნავს კეთროვანს, სისწლმდინარეს, ბრმას, უტყეებს ცოდვას, აღადგენს მკვდარს; ამისთვის განკურნებული კეთროვანებისაგან სამართლიანად ატარებს დროს რბილ ქვეშაგებელში მშვენიერთა ქალთა შორის. თუ ასე არ სურდა მაცხოვარს, რათ განკურნა იგი კეთროვანებისაგან, რომლით ავთმყოფს არ შეეძლო ოჯახში ეცხოვრა. სამართლიანად მისდევს თვალახელილი ბრმა ლამაზ დედაკაცს, თუ ასე არ სურდა მოძღვარს, რად აუხილა თვალი? სამართლიანად მოსთქვამს მისდგან მკვდრეთით აღდგინებული ქაბუკი თავის მკვდრეთით აღდგინებას და მხსნელის შეკითხვაზე რა გატირებსო, ეუბნება: თუ ასე არ გინდოდა მოვქცეულიყავ, რად აღმადგინე მკვდრეთითო. ერთი სიტყვით მაცხოვარი დანაშაურია ყოლიფერ თავის მოქმედება-

ში. მას არ უნდა განეკურნა ავთმყოფი, რადგან საღი კაცი უთუოდ განცხრომას მიეცემა, არ უნდა აეხილა თვალი ბრმისთვის, რადგან თვალახელილ კაცს სილამაზე იტაცებს, არ უნდა მიეტყეებია ცოდვა, რადგან მიტყეება ახალ ცოდვებს შობს, ანუ უადვილებს ადამიანს ცოდვის ქმნას, არ უნდა აღედგინა მკვდრეთით, რადგან ცხოვრება ესე სატირალი და სავალალოა, რადგან ბედნიერებას არ იძლევა. როგორ მოგწონსთ ასეთი მარგალიტები ახალი გაზეთისა, ბატონებო?!

ადამიანი ბრმა უნდა იყოს, მუდამ გადამდებ სენით დაავადებული იყო, რომ საზოგადოებაში ვერ ჩნდებოდეს, განუწყვეტელი ცოდვის მიტყევებით ბიწიერება სათნოებად უნდა შეერაცხოს, ე. ი. ადამიანი, მკვდარი უნდა იყოს, რომ ვნებათა ღელვამ არ გაიტაცოს. ესეც მართალია? ნუ თუ არ გინახავთ ბ. „მზე“ ან არ გაგიგონიათ ზნეობით მალალი ცოცხალი ადამიანი? თუ არა და მაშ რაღათ გვინდა შენი ხელოვნება, რომელიც, როგორც ბრძანებთ მოწინავეში, „ამტკიცებს ჩვენს ზნეობას“, „აღვიძებს ჩვენს უკეთილშობილესს გრძნობებს?!“ რამ ამოარჩევია გაზეთის კორრესპონდენტს ასეთი აბდა-უბდა ნაწარმოები. გარდა იმისა, რომ იგი თავიდან ბოლომდის მტკნარი სისულელეა, არც არავითარ ჭკუის მახვილობას ამტკიცებს და არც ხელოვნურ ნაწარმოების ბეჭედი აზის, აზრების წინააღმდეგობასაც, კი წარმოგიდგენს, რაიცა ნიშანია მის დაბალი ხარისხოვნობისა. მაგ. თუ განკურნებულ კეთროვანიანისათვის, ბრმისათვის და ცოდვამიტყეებულ დედაკაცისათვის ცხოვრება სიამოვნებად გადიქვა, მკვდრეთით აღდგომილს რაღა ატირებდა? რატომ მისთვის დაეხმა კარი განცხრომისა და სიამოვნებისა?... მაგრამ ბრმა უარისმყოფელისთვის ყველაფერი საბუთია, აღვირახსნილი ფანტაზია კი...

ეხლა დასტკბით იმით, თუ როგორ ამტყუნებს ღმერთს ადამიანი. ღმერთი, როგორც მართლმსაჯული ამხილებს ადამიანს ცოდვებს და უწესებს ჯოჯოხეთს. ადამიანი ეუბნება: ჯოჯოხეთში ვერ გამგზავნი, რადგან იქ (ე. ი. ჰეკანაზე, უკვე ვიყავიო; და ვერც სამოთხეში

ძალგის გაგზავნა, რადგან მე სამოთხე ვერ წარმომიდგენიაო. და ეს ადამიანი თვით ოსკარ უილდია და მისი მთარგმნელი ბ. ალ. სარაჯიშვილი! აფსუსს, ღვთისმეტყველებო! აფსუსს, გაზეთო „მზეო“! შენი ფურცლები ღირსია გომართელის ოქროს კალმისა, რომელიც, როგორც გვიცხადებ, თანამშრომლადაც მოგიწოდებია!

მაგრამ მიბრძანეთ „მზეო“, რა საერთო აქვს ასეთ და ამგვარ წერილებს იმ მიზანთან რომელსაც ესწრაფებით? თქვენი დევიზია „კახმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.“ სად არის აქ ღვთის მეთყველება ან ქირღვა, სარწმუნოების დაცინვა და სხვა ამგვარი. მაგრამ გვესმის, გვესმის: „მზემ“ ვერ უღალატა თავს ყოფილ და აწმყო მოძმეებს. „მზემ“ ვალი გადაუხადა თანამედროვე მოძრაობას!.. განაგრძეთ ბ. „მზეო“ შეწვევითა გომართელისათა!...

თქვენთვის მზეო
წერილი... მზეო
სანმანანი.

რ ა ლ ო შ ი ვ ა რ თ ე ?!

(შემდეგი *)

როგორც ხედავთ, „განმათავისუფლებელმა“ მოძრაობამ, მიიღო რა უკუღმართი მიმართულება, ჩავარდა რა „უსუსურთა“ და „ბრთყთა“ სეღში, სულ ერთთან აურ-დაურია ეკელაფეო, დაჭკარვა მიზანი, გზა და სინათლის ნაცვლად მოგვიტანა სიბნელე და სიღუბლე. ტუელად კი არ უთქვამს რუსებს: „Дело мастера боится“-ო! დიად, სძალი რაც უნდა ბასრი იყოს, თუ ბეჭეებს მიეცი ხელში, ან ზედ დაუცემბიან თვითონ, ან თავში დაიკრავენ და მერე ღრიალს მოერთავენ!

პირველად გიგობნა, თუ ჩვენ ჭირიზონტზე ხამოწოლილი შავი ღრუბელი როგორმე გაბნეოდა თან და თან, აძღვრეული წყალი ცოტ-ცოტა დაწებოდა და საზოგადოებას ხელმოკრედ გამოეცხადებოდა მიძალედი ბეთლემის კარსკვლაფი, მაგრამ, ბედმა გვიმუსთლა! ნაცვლად ამისა, ჭირი-

ზონტზე და მერე თვით ჩვენ სწორაც უფრო და უფრო „ჩამობნელდა, ჩამობნელდა“, ჭკერა დამბიდა, ეოკელმა სულეირმა ბდაკელი ატანა შიშით, მოულოდნელობით თავსარდატემულებმა, მაგრამ მოცაქულები, თითქმის უზინ-მანისის ქუდი დახსურესო, მიამაღწენ, და დაკრებით სახტად!

ამ გაჭირებულს და უბედურს დროს მიდგა საქმე პრესაზე, და კიდევაც აქ დაიწყო მეორედ სიკვდილი გამათავისუფლებელი მოძრაობისა, მისი წინებრივი ანარაობის გამოჩენა, მისი სიცადაერე, მისი უმიზნობა, მისი უკუღმართობა, მისი ბელადების უვარგისობა, მათი თვალ-მაცნობა, მაცუყუარობა და შარლატნობა. *)

ეკელამ ქუდი ესროლა ზეცას, ეკელამ ფუნი-საკენ და ქვესენელისკენ ჭჭნა შირი და ქვეყნის პირზედ იმდენი სიმურალე და სიბნელე მოაგროვეს, რომ ღმერთმა კიდევ სია მზე უნდა გააჩინოს, რომ ეს სიბნელე და წყვედადი გაიფანტოს! საჭიროა ქრისტეს და მისი მოციქულების მეორეთ მოკლინება, რომ ქვეყნად ისევ სასუფეველი დაამყარონ და ნამდვილი ადამიანობა.

მათ უმეტეს გულის მოსაკლავია ასეთი ჩვენი მდგომარეობა, რაც მისი ბრალი ედება პრესასაც, ბუტდვი „სიტყვას, თავისუფალს სიტყვას, იმ სიტყვას, რომელიც მოუწია ზეცას ჩვენთვის დაღადებად სიმართლისა, სიმართლისა და უკვდავებისა, კეთილისა და მშენიარებისა და არა სიკვდილისა, მონობისა, უხეობისა, კაცთამკამელობისა, სიმძულვარისა, ცეცხლისა და მახვილისა! ეს ის პრესის განხლავსო, რომელიც თავის იდეით, თავისი საზოგადო მიზნით უნდა იყოს მატარებელი უკვდავ და უუწმიდეს საზოგადოებრივ იდელებისა, იმ ბარომეტრად, რომლის საშვალეობითაც უნდა გაიზომოს და უტუჟარად აღინიშნოს საზოგადოების მდგომარეობა და მისწრაფება, იმ კარსკვლაფად და იმ ნათლის სკეტად, რომელმაც, მისგანსად მას ეს სკეტისა, ადამიანი მიწიერი სიმდაბლი-

*) ჩვენ ყველას არ ვეზებოთ. მათში ბევრი ბრწყინვალე პირნიც ურევია, მაგრამ სხვაგან და არა ჩვენში. სხვაგან მოძრაობაც მუდამ განმათავისუფლებელი ყოფილა ჩვენში—კი მას თავისი შინაარსით და მოქმედებით ნიშან წყალიც კი არ ეტყობა ამისა—წყალობითა და უვარგისობითა მაოითა, ეინც წინამძღოლობა იკისრეს, როცა უკან გასაყოლადაც არ ვარგოდნენ.

*) იბ. „შინ. საქ.“ № 20.

საგან ალიყანოს ზეცად, სიბნელისაგან საუკუნო ნათელში და შემოსოს იგი კეთილით, უკვდავებით და მშვენიერებით. დიად, ეს ის ბეტლვითი სიტყვას არის, რომლის დანიშნულება ესეთია, როგორც მოგახსენეთ, მაგრამ რომელმაც თვითონ დაჰკარგა გზის კარსკვლავი და დაიბნა!

ვიარველად ისაა განსწავლეთბელო, რომ კიდევ სხივიან ეველანი, კითხმდა ჩვენ, არ გვჭონდეს თავისუფლება სიტყვისა! მიტომაც ეს საკვირველი, რომ, ჩვენი აზრით, აზარადესაც არ უფიქვია ისეთი უსაზღვრო თავისუფლება სიტყვისა, როგორაც ესლას!

მართლაც, დღეს ხომ სრულებით უშიშროთ და დაუსკვლად, უსიბრწევილოდაც კი და ყურების გაუწითლებლადაც — კი შეიძლება გინება და ლანძვარ ეველასა, ვისაც კი ესურთ!? დღეს ხომ არააინ არაა უზრუნველყოფილი ქუჩური შეურაცხებისაგან და დამცირებისაგან, დედის განებისაგან, სკულის განებისაგან, ოჯახის ხელუხლებლობისაგან, ინსინუაციისაგან, დანახებისაგან, ცილისწამებისაგან, დინებისაგან, ავადებისაგან დაწვეული მუფიადამ შეუპასხუნელ ლაქამდის და შიკრიკამდის! ახლანდელი სიტყვა ხომ მთლად ასეთი ქუჩური და ლუდსანური დეჰსიკონიდან შესდგება! ესლას ხომ მასამსხურისათვის ცენზურა არაა!? განა ვინმე არის ბუნებური და გადარჩენილი დღეს მისი მიკიტანსხური კალისაგან! ან სდამე არის დღეს საზოგადოებრივი კრება — კი, რომ მაზედაც არ იყოს გამოყვებულნი ასეთი სიტყვათკონს და კალა ლანძვარა! ესლას ხომ აკრძალული არაა იხმარო სიტყვები: „პოლდეცი, ნეგოდია“, ღორი, მამუნი, ვირა, ღათვა და სხვა ასეთები გაზედაც გნებაუსთ, სდაც გნებაუსთ და როცა გნებაუსთ!? როგორ!? იყო ოდესმე ადამიანის პირადობა ასეთს შეუბრალებელს ლანძვარში, გინებაში, დამცირებაში და უარყოფაში, როგორც დღეს არის!? ნუ თუ?! დღეს ხომ არააინ აღარ ზოგავს ადამიანის გრძნობას, ადამიანის დირსებას!

აივით თუნდ გუშინდელი გმირები, „მეგობრები“, „ამსამაგები“, „მოქალაქენი“ „ძმები“, ტუნსე რომ ცოცხნადენ ერთმანერთს? დღეს ისე წასკვიან ერთიმეორეს და წიწკინან, თითქმის მკრეულს ძელო გადმოუგდია მათთვის! ქუჩის გმირები სამიკიტნოს გმირებთან შეერთებულან და

ჭაერს სცემენ კარის ენის უუმძებნიერესი მარჯალიტებით! განა ასლას კიდევ შეჩენია რამე აზრი და მნიშვნელობა სიტყვებს: „გრდილობა“, „თავდაბლობა“, „თავაზიანობა“, „დარბაისლობა“, „ხათრა“, „მორადება“, „უფროს-უძეცროსობა“, „დათმობა“, „სიყვარული“, „ნდობა“, „შებრალება“, „მოწყვალბა“?! კილას სმარობს მათ?! ან სდ იხმაროს?! ვის უთხრას? ვინ მიხედება და გაიგონებს?! ან განა „მარჯალიტები ღორების წინ დასაყრელია“ — როგორც ქრისტემ ბრძანა?! არა და არა. დღეს გამოყვებულია და მოდამი, მოწონებაში და პატივშია მუყიყური ღოთური ლანძვარა!

აგერ ძალალი შეკრებილებას განსინილი; დიდებულია და ჭადრით მოსილი ორატორი ტრამბუნადან სიტყვას აშობს. თვითუელი სიტყვა ოქროსუნდად გამოსტება აგერ მეორე წევრი, ჭკრავს ხელს ორატორს და მიახლის: „წათრათ იქით ეს გაფუჭებულიო!“ იქ შეკრებილან კიდევ სამატო პირნი და ბასობენ დიდ-დიდ სექმებზე, ერთს არ მოეწონება ორატორის სალი მსჯელობა და უმასპინდლებას ასეთი მარჯალიტებით: „მაგას ენის ფაღარათი ხომ არ აწუხებს?!“ სხვაგან სსსელიერო პირთა კრებას. ერთი ორატორი წინადადებას შეიტანს, რომ კრების სექმეები ეპარქიის მთელს სამდეგელებას დაეოჩნიალოს, რომ სსსწავლებელში ბორტომქემელებას ადგილი აღარ ექნეს. წამოხტება თავმჯდომარე ბერი და უპასუხებს ორატორს: „მამაო, თქვენი წინადადება მე მაგონებს კრადლოვის ჰირს და ბულებულსო!“ როცა ორატორი შეურაცხებისათვის ბოდიშის მოთხოვას დაიყინებს თავმჯდომარისაგან, მეორე წევრი უპასუხებს მას: „მამაო, ჭავრი რათ მოგდისთ? დღეს ხომ სიტყვის თავისუფლებაა!“

დიად, თავისუფლებაცაა და მეტიც. ბრძანი და ყრუნნი კი ისევ გაიძახიან, თავისუფლება არაას! კვონებ, აქ უფრო გაუგებრობაა! ლანძვარა იმაზე კი არ უნდა იყოს, რომ თავისუფლებას სიტყვისა არაა ამამედ იმაზედ რომ რა აზრი აქვს და რა მიზანი აქვს მ. ცეს სიტყვის თავისუფლებას მას, ვინც მას ბორტოდ სმარობს?! მიაქუნს რათ უნდა სათვალე?! ნუ თუ ეუფლებ ჩამოსკადებულად, ან სსსუნავად, ან მამლს რათ უნდა მარჯალიტი, თუ კი გადაულანძვას!

ასე და ასე. ეს ერთი წმიდა-წმიდათა წაბილ-
წა შეუბრალებლად და რაღა დარჩა სხვა კაცს?! კუ-
ჭი?! ჭი!..

ზეპირს სიტყვას არც ბეჭდვითი სიტყვა ჩა-
მოიჩინა! დღევანდელი ბეჭდვითი სიტყვა თამამად უნ-
და აწოდოს და მოინათლოს ამ სიტყვით: „ორ-
ღანო ყანალობისა, ფიანალობისა, შანტაჟისა, ბი-
წიერებისა, უგონობისა, კელურობისა, პროკოპეტო-
რობისა, ცილისწამებისა და ადამიანობის წინააღი-
კად მოსპობისა და გადაგვარებისა!“ *)

ერთმა გასეთმა საქართველოს წმიდანები და
მათ შორის ნინო და თამარიც გამოიყენა სარო-
სკიპო ქალებად და უძღვნა მათ უველს ის სიტყვებ-
ი, რომელსაც რასკიპებმა სმარობენ ქუჩებში და
უველგანს! მეორე გასეთმა გამოაცხადა: იესო ქრის-
ტის მოძღვრებამ ქვეყნად მონობა და კაცთაშკამ-
ლობა დაამყარაო! ქრისტე, ქვეყნისთვის წამებული,
ქვეყნიერების მოსისხლე მტრად გამოიყვანა! მეს-
ამე გასეთმა ასეთა ცდა მოახთანა საწმინტოებაზე:
პროფესორი თავის კაბინეტში უფრის თავს სტუ-
დენტებს და ეუბნება, აქ ერთი სასწავლო უნდა გი-
ჩვენათო! ანთო კართოფილის სახთელი და დას-
დაგა მაგიდაზე. მაგიდას სტუდენტები სამივე მხრი-
დან შემოესაკუნენ. წინ მეტნიერა პროფესორი ზის
და ეუბნება მხუერებლებს: თქვენ დრო გამოშვებით
სთქვით სიტყვები: „სიმართლე“, „სტუმარიტება“,
„სინდისი“, „კეთილი“, „მშვენიერება“, „სურესი“
და სხვა, მე კი ეუბნება სანთელს აქედამ სულის და
რომელი სიტყვის თქმაზედაც გაქრეს სანთელი, ის
საკანი აქნება უველზე უწმინდური და საზიზღარიო.
სტუდენტები ადტაცებაში მოვიდნენ და სასწავლს
მოკლდნენ. დაიწყო ცდა—ი სასწავლოც. არც
ერთს სიტყვაზე არ გაქრა სანთელი, მაგრამ ითქვა
თუ არა სიტყვა „ПОПЪ“, მაშინვე გაქრა! ბედნიერს
პროფესორს გაბედნიერებულმა ა; დიტორამ ტაში
უხვად დაუჭრა!.. ბეჭდვითი სიტყვა, თუ რა დრო-
ში კართ?!..

ტონკელი.

(შემდეგი იქნება.)



ქრისტიანული აღზრდა ნებისა.

(თარგმანი.)

(გაგრძელება*).

„სასუფეველი ღვთისა შორის თქვენ-
სა არს (მ. 17, 21.)

სასუფეველი ღვთისა ძალით მოიხვე-
ტების და ვინც ძალას ხმარობს იგი მოი-
ხვეტს მას (მტ. 11, 12.)

როდესაც ნიუტონს ჰკითხავდენ, თუ რო-
გორ აღმოაჩინა იმან სიმძიმის კანონი, ის უპა-
სუხებდა: ყოველთვის იმაზე ვფიქრობდიო! *
მეორეჯერ უფრო გარკვეულად სთქვა: „მე ჩე-
მი გამოკვლევის საგანი სულ გონებაში მაქვს
და მოთმინებით ველოდები, მანამ დილის სუ-
სტი ბეუტვა თან-და-თან და ნელნელა არ გა-
დაიქცევა სრულ და ბრწყინვალე სინათლედო“.
ერთი სიტყვით, თვითოეული დიდი ხელოვნუ-
რი ნაწარმოები, გამოჩენილი მეცნიერული
შრომა და გენიოსის ორიგინალური ჰაზრი უცებ
არ ჩნდება; ის წინ და წინ დიდხანს მუშავდე-
ბა ავტორის გონებასა და გულში, მწიფდება
წლობით, თხოულობს დიდი ხნის შეუბოვარს
დაკვირვებას და ყურადღებას. ასეთი პროცეს-
ი აუცალვებელია მთლიან ზნეობრივ პიროვ-
ნების შესაქმნელად. თუ გვსურს, მაგ., რომ
სახარების სიყვარულის და სიმართლის იდეა-
ლი შეიქნეს ჩვენ განუშორებელ კუთვნილე-
ბად, გარდაიქცეს ჩვენ ხორცად და სისხლად,
უნდა მივაქციოთ იმას განსაკუთრებული ყუ-
რადღება. თუ ის გაკვრით გაივლის ჩვენს ცნო-
ბიერებაში, ეს იმას ნიშნავს, თითქო ის სულ
არ ყოფილიყოს, ის გაქრება, დაფიწყებას მიე-
ცემა და კვალსაც არ დასტოვებს. ამაზე სე-
რიოზულად და დიდხანს უნდა ვიფიქროთ.
მაშინ კი ის მოიპოვებს საჭირო ცხოველყოფე-
ლობას და იდეათა ასოციაციის ილუმალ მაგ-
ნეტიურ ძალის შემწეობით მიიზიდავს მისკენ
სხვა ნაყოფიერ აზრებს, ძლიერ გრძობებს;
შეუერთდება იმათ და გადაიქცევა ერთ განუ-
ყოფელ მთელად. ამ მუშაობას სულში უმაღ-
ლეს იდეათა განამტკიცებისას, იდეალურ გრძო-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 20.

ბის განვითარებისა ფრანგების პსიხოლოგი პეიო აღარებს ხელოვნურად გამოყვანილ ბროლს.

„თუ ქიმიურ სიხეში, რომელიც იპყრობს რამდენსამე სხვა და სხვა სხეულს ჩავუშვებთ ბროლს,—ამბობს იგი,—მაშინ ბროლის თანამონათესავე ნაწილები იღუმალ მიმზიდველ ძალის ზედგავლენით თანდათან გროვდება იმის გარშემო. ბროლი პატარ-პატარაობით იწყებს ზრდას, და თუ ასეთი სიხე ხელუხლებლად დარჩება რამდენიმე კვირაობით და თვეობით, მაშინ კი შივილებთ ერთს ისეთს დიდებულ ეკ-ზემპლიართაგანს, რომელიც თავის სიდიდით და სიმშვენიერით შეადგენს ქიმიურ ლაბარატორიათა სიამაყეს და სიხარულს.“

ასეა პსიხოლოგიაშიაც. აიღეთ—რომელიმე პსიხიური მდგომარეობა, წამოაყენეთ ის ჩვენ ცხოვრებაში პირველ ადგილას, გააჩერეთ დიდ ხანს და შეუმჩნევლად. იღუმალ ნათესაობის მეოხებით იმის გარშემო თავს მოიყრიან იმის მონათესავე იდეები და სულიერნი გულისთქმანი. გამოვა უფლებით აღქურვილი ძლიერი გრძობა, რომელსაც ნება მონურად დავემორჩილება ხოლმე. იმასთან შედარებით სხვა ყველაფერი დაიჭერს მეორე ადგილს. თუ დავემორჩილებით, ასე გასინჯეთ დაბალი, სამარცხვინო გრძობებიც კი განუსაზღვრელ უფლებას მოიპოვებენ ჩვენზე. გავიხსენოთ თუნდ პუშკინის „ძუნწი რაინდი“ სარდაფში; აუარებელ ოქროს შუა მდგომი ის ამბობს:

„ვინ იცის რამდენ მწარე სიმშილად, გულის თქმის მოკვლად, მძიმე ფიქრებად დღისით ოფლის ღვრათ და ღამის თევად ყოველივე ეს მე რომ დამიჯდა? განა იტყვის კი ჩემი შვილი, რომ მე გულზე ხავსი შემომეხარდა, არ არსებობდა ჩემთვის სურვილი და არც სინდისი მე არ მტანჯვიდა?... ყოველივე ეს არად დავსახე, მხოლოდ სიმდიდრე მოვიყვარე.“

დრილს თავის წიგნში: „დანაშაული და დამნაშაული“—ნაჩვენები აქვს პიროვნებათა მთელი რიგი, რომლებშიდაც დაბალი ხარისხის მისწრაფებანი უფლებენ მთელ მათ არსებას და

ამოქმედებენ იმათ ამა თუ იმ საქმეს. მაგ., ვინმე მ. მთელი თავის სიკოცხლე კუჭის სამსახურს მოანდომა. იმან მოიარა საფრანგეთის ყველა კუთხეები, რომელიც, ცოტათი მაინც, იყო შესანიშნავი საქმელის მხრათ. ის ერთგულად სწავლობდა საქმელის მონელების ფიზიოლოგიას, აგრეთვე ისტორიას და მოგზაურობას, მაგრამ მხოლოდ კულინარულის მხრით. მშვენიერად იცოდა და უყვარდა მოთბობა, თუ რომელ წელში, რომელ მეფის დროს, საქმელი; საიდან და ვისგან იქნა გამოტანილი. გასტრონომიის გარდა არაფერზე არ ლაპარაკობდა, პატივს სცემდა მხოლოდ გასტრონომებს და მზარეულებს. მეორე იმისმა მსგავსმა კაცმა ექვსი წლის განმავლობაში გაფლანგა ისეთი ქონება, რომელიც ყოველწლიურად ნახევარ მილიონ შემოსავალს იძლეოდა. იმას ყავდა აგენტები მექსიკაში, ჩინეთში, კანადაში და სხვ., რომელნიც უგზავნიდნ იმას გემრიელ საქმელებს. ბოლოს, როცა ჯიბეში მხოლოდ ერთი გინეა დარჩა, იმით იყიდა ლაინი (ფრინველია), შეწვა კულინარული ხელოვნების ყველა წესების თანახმად, ორ საათს კიდევ ასიამოვნა თავის კუჭი. დასტკბა უკანასკნელად, წავიდა და თავი დაიხრჩო. მას არ შეეძლო თავის ყოვლად ძლიერი კუჭის მოთხოვნილებანი უფულოდ დაეკმაყოფილებია, ამიტომ მის ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა და კიდევაც შესწყვიტა ის. უკეთუ დაბალ მიდრეკილებას შეუძლია დაასვის ადამიანის მთელ სულიერ არსებას ისეთი განსხვავებითი ბეჭედი, რომლის თვალთხედვის ისრით დაფასდებიან ცხოვრების ყველა მოვლენანი, მით უმეტეს მაღალ გრძობებს, ზნეობრივ სისრულესადმი მისწრაფებას ძალუძს ჩვენ მოდვაწეობას მისცეს ერთი მიმართულება, თუ კი არ დავიზარებთ შრომას კეთილის და სიმართლის ნათელ იდეალებზე დაკვირვებისას და გავიმსკვალებით იმით. სახარება გვაძლევს ჩვენ ცხოვრების უსრულეს იდეალს. ზნეობრივ სახეს ადამიანისას, რომელიც განხორციელდა სიყვარულის ღვთაებას მკადამებელში, აქვს მომხიბლველი სულიერი სიმშვენიერე. იქონიეთ ეს იდეალი და სახე ყოველთვის თვალწინ და იმის დამახასიათებელი თვი-

სებანი გულში. შენიშნულია, რომ მეუღლეები, რომელთაც ერთმანეთის ერთგულება-ერთსულებში გაუტარებიათ დიდი ხანი, ზნითაც და სხითაც კი ერთმანეთს დამსგავსებიან. ასე ძლევა-მოსილად მოქმედებს ადამიანზე ხშირი განვიორება ერთ და იმავე შთაბეჭდილებათა. დეე, ამიტომ ის შთაბეჭდილებანი, რომელიც თქვენ მიგილიათ სახარებიდან ნუ იქნება შეთხვევითნი და მსწრაფლ-წარმავალნი: რამდენადაც უფრო ხშირათ წარმოიდგენთ თავისთან მარიამის მდგომარეობაში, რომელიც დაჯდა ფერხათანა იესოსთა და ისმენდა სიტყვათა მისთა, რამდენათაც მეტს დროს გაატარებთ ღრმა დაკვირვებაში იმის შესახებ, რაც ამოგკითხავს სახარებიდან, მით უფრო მახლობელი და ძვირფასი გახდება თქვენთვის ქრისტეს სახე, მით უფრო ცოცხლად, ნათლად გამოიხატება თქვენს ზნეობრივ სახეში იმის განსაკუთრებული თვისებანი. თანდათან, თითქოს გენიოსი შექმნა მუშაობდესო, ისე გაშარა-შინდება და გასწორდება თქვენი ხასიათის უსწორმასწორობანი და სიღუბეები, სანამ თქვენი საკუთარი შინაგანი სახე გადავა ერთი თვისებიდან მეორეში, დაბალიდან მაღალში, უმაღლესიდან კიდევ უკეთესში და, სანამ არ გარდაიქმნება სრულ ქრისტეს სახედ.

ქრისტეს სახის დანერგვა ჩვენ შორის, ჩვენი პირადი და საზოგადო ცხოვრების უმაღრესი მიზანი უნდა იყოს. უკეთუ თანამედროვე ცხოვრება თავის წყობილებით, შორს არის ზნეობრივ სისრულემდე, თუ იმაში ადგილი აქვს მკაცრ ძალმომრეობას, უსინდისობას, უსირცხვილობას, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ შორის ცოტაა ადამიანები, რომელთაც თავის ხასიათში განებო-ციელებიოსთ ქრისტეს სახე და აღეზარდოსთ თავის ნება იმის სიტყვების სამსახურში. ჩვენს კერძო და საზოგადო ცხოვრებაში დიდი ნაკლულეგანებაა ქრისტეს სწავლის განხორციელებისა. ქრისტეს იდეათა მატარებელნი ისე ცოტანი არიან, რომ ეს სიცოტავე უკველგან მუდმივი საგრძნობელია. ამიტომ უკვლასათვის, ვისშიაც არ გამქალა ღვთაებრივი ნაპერწკალი, ვინც სრულიად არ დაუმორჩილებია მუცელს, — აი დიდი და წმინდა საქმე: გაიმსჭვალენით სახარების სინათლით,

შეიტანეთ ქვეყანაში ქრისტეს სიმატლე, მოაწყვეთ ცხოვრება ისე, როგორც გვაუწყა ქრისტემ. დეე, იყოს ცხოვრებაში წყვდიადი, თქვენ კი იყავით ნათელი ქვეყნისათვის.

ე. ჩ.—ძე
(შემდეგი იქნება).



წარილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

„ცის ნამის“ მე-8 ნომერში მოთაგებულია ფელეტონი სათაურით: „ზუბრთა კრება“, რომელშიდაც სხვათა შორის, ყბად აღებულია თქვენი მორჩილი მოსამსახურეც „განო ხუცი“.

ეს წერილი გაფლენთილია ავტორის პირადი ჩემდამო სიძულილით და უსამართლო ბრალდებით. თუმცა ყურადღების ღირსი არცკია და, გაზ. „ისარის“ არ იყოს, ნაგვის გოდორია მისი ალაგი, მაგრამ იქ, სხვათა შორის, არის ისეთი საზიზღარა ბრალდებანი, რომ მათი უპასუხოთ დატოვება არ შემიძლია, რადგან ჩემი თავი უდანაშაულოდ მიმაჩნია.

ხსენებული წერილის (თუ გინების?) ავტორი მამრალებს ძველი წესწყობილების ტრფი-ალსა და მოძრაობის ხელის შემლას, ბეზლო-ბას, ლალატს, და კიდევ ვინ იცის რასა! შევეკითხები, ბ. „ოსტანოის“ (ფსევდონიმია); რით მიმტკიცებს, რომ ძველი რეჟიმის მოტრფილეთ ვარ და მოძრაობის ხელის შემშლელი? რა საბუთი აქვს, რომ შე მოლალატეცა ვარ და ჯაშუშიცა? როდის ვულალატე ფიცს (თუ-კი იყო ეს ფიცი) და როდის გადავუდექი ხალხის მეთაურებს?! როგორც ამბობს, გელოვანი გარდაფხაძეებმა მოკლეს და მაშ მე რა შუაში ვარ აქა? რის საფარად დაგვირდათ ამ შემთხვევის გახსენება? ამით თქვენი დანაშაულის დაფარვა-გამართლება გსურთ, თუ თქვენ მერ წამოყენებულ ბრალდების გასაძლიერებლად მოიყვანეთ იგი?! რათ არ ამბობთ გარკვევით: გელოვანის სიკვდილში მე ბრალი მიდევს და ამიტომ მომაცენეს შეურაცხება, თუ არა?!

განა ამაზედ შორს კიდევ წავა კაცის პირადობის აბუჩად ავდება. შელახვა?! — არა, ოტსტანოო, „იმის გულისათვის“ კიარა, პირად ანგარიშებისათვის იყო, რომ მიმართა,

ვინც იყო, არა კულტურულ საშვილებას. იმაში ვგებ თქვენც ერიეთ და თუ ერიეთ, რა სინილისი გაძღვეთ ნებას, რომ ჩადენილს აშკარა უსამართლობას, ზედ უმატებთ ახალს, უფრო უსაშინელესს, ბრალდება-ცილისწამებას! გაიხსენე, ჩემო მოკეთვე, ის კრება, რომლის შესახებ თქვენა სწერთ სიმრუდით და სადაც ვგებ, თქვენც ერიეთ? ვინ დამემუქრა იმ კრებაზედ? განა არ იცით, რომ ეს დამუქრება შეასრულეთ არა კულტურულის საშვილებით?! მაგრამ სირცხვილი იმათ, ვინც საკუთარი აზრის გასავრცელებლად მხეცურ საშვილებას მიმართავენ ხოლმე!...

ხალხის მეთაურებათ ბ. ოტსტავენოს, უქველად ლეჩხუმელი ს. დემოკრატები მიიჩნია. მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ, იმათთვის მე არავითარი სიტყვა არ მიმიცია და არც შემეძლო, მაშასადამე, მათი გადადგომა. ლეჩხუმელ ს. დემოკრატების თანამოაზრე მე არ ვყოფილვარ და მომეცით ნება ვიაზრო ისე, როგორც მესმის და მრწამს. მოძრაობისათვის მე „მხეცური“ არ დამირქმევია (მე მაქვს სახეში ნამდვილი განმათავისუფლებელი, დიადი მოძრაობა) და თუ მოძრაობამ აქეთენ თავიდგანვე მხეცური ხასიათი დაიჭირა, როგორც თითონ თქვენ ამბობთ, ოტსტავენო, მაშ რა დაგვერქვა, თუ არ მხეცური? თუ ჩვენ ძალადობის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ, ეგ, ვგონებ, არ ნიშნავს მეთაურების ლაღატს და მოძრაობის ხელის შეშლას!

მაშ, ოტსტავენო, რით ასაბუთებთ თქვენს ჩემდამო საზიზღარ ბრალდებას, რომლის მგავსი მე არამც თუ არა ჩამიდენია-რა, მოსაგონადაც მეძნელება?

თამამად ვიტყვი, ბ. ოტსტავენო, რომ ჩემს ცხოვრებაში იმისთანას ვერას ნახავთ, რომ ღირსი ვიყო ამ გვარად ლანძღვისა, მაგრამ თქვენ მიინცა გსუოსთ ჩემი წახდენა და ამისათვის ყოველს ღონესა ხმარობთ. იხმარეთ უკანასკნელი ღონეც და, თუ სიმართლე გაქვთ, აიხადეთ პირბადე, გამობრძანდით სამედიატორო სამართალში, რომელიც ჩვენ შორის სიმართლეს აღადგენს. როდესაც თქვენგან მივი-

ღებ ამაზე ყაბულობას, მედიატორებს მაშინ დავისახებლებ. პასუხის ვადათ ვნიშნავ 7 დღეს შემდეგ ამ წერილის გამოქვეყნებისა.

მლ. ი. მარგანი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მახვლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

იყიდება დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ გამოცემული წიგნები:

1, პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე. ეს წიგნი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან: ა) ღოგუები, ბ) ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმი და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მიღებულია ეკლესიის სამრევლო სკოლებში და საერო დაბალ სწავლების სასწავლებლებში. ფასი 20 კაპ.

2, კაიაფას ვაჟიშვილი, ისტორიული მოთხრობა ქრისტეს დროიდან; მასში გამოხატულია იმ დროის უბრალოდ ზნე ჩვეულება, შეიცავს 30 თავს, 247 გვ. ფასი 50 კაპ.

3, მესამე ოქრო, მცირე მოთხრობა კაცის სიხარბე-გაუმაძღრობაზე, ფასი 5 კ.

4, გზა ცხოვრებისა. მაგალითი მოყვანის სხვა და სხვა მაღალ ზნეობის კაცთა ცხოვრებიდან. წიგნში არის §§ 69 და ღირსი 30 კ.

5, მამა დავით გარესჯელის ცხოვრება ფასი 10 კ.

6, ცოლ-ქმრობა ფასი 5 კ.

7) ქრისტიანობა და დემოკრატია—ქრისტიანობა და სოციალიზმი. ნათარგმნა პრაფესორ ანატოლ ლერუა ბოლდეს წიგნიდან. ფასი 15 კაპ.

ეს წიგნები იყიდება თბილისში და ქუთაისში წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილიდან წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

Кутаисъ. Протоіерей Н. Кубаней-ШВИЛИ. წიგნის მაღაზიებს და სოფლის მასწავლებლებს, ვინც მოგანი ნაღდ ფულზე გამოაწერს არა ნაკლებ 10 მანეთის წიგნს, დაეთმობა 20 პროცენტი. გაზავნა შეადგულის საწყით.

